სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

11 / თებერვალი / 2025 წ.

KA080162186371125

№ **501**

განკარგულება

ი.მ. ზაზა ჯიჯელავას შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“;

ტენდერის ნომერი: NAT240013568;

შესყიდვის ობიექტი: 45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები;

მიმწოდებელი: ი.მ. ზაზა ჯიჯელავა (პირადი №29001006188);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 13 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ 2024 წლის 13 დეკემბრის № 02/551 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 10704), რომლითაც სააგენტოს ეცნობა ი.მ. ზაზა ჯიჯელავას (პირადი №29001006188) მიერ NAT240013568 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 10 სექტემბრის № 220 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის zazagig@mail.ru მეშვეობით, 2024 წლის 24 დეკემბრის № 3697 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 31 დეკემბერს სააგენტოში წარმოადგინა 2024 წლის 31 დეკემბრის № 7 განმარტება (რეგისტრაციის № 11564) 2024 წლის 10 სექტემბრის № 220 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ სააგენტოს 2025 წლის 21 იანვრის №156 წერილის პასუხად წარმოადგინა 2025 წლის 24 იანვრის № 02/25 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 670) 2024 წლის 10 სექტემბრის № 220 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2024 წლის 10 სექტემბრის № 220 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად, 2024 წლის 10 სექტემბრიდან, შემსყიდველი ორგანიზაცია უწყვეტ რეჟიმში ახორციელებდა სარემონტო სივრცეების დათვალიერებას, რის შედეგადაც იკვეთებოდა გარემოება, რომ მიმწოდებელი არ ასრულებდა ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს. აღნიშნულის შესახებ მიმწოდებელს 2024 წლის 2 ოქტომბერს გაეგზავნა გამაფრთხილებელი შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება და მისი თანმდევი დოკუმენტაცია არ მოიცავდა გასაწევი სამუშაოების კალენდარულ გეგმა-გრაფიკს, მას შემდგომ, რაც ხელშეკრულების გაფორმებიდან გასული იყო თითქმის ნახევარი ვადა (100 კალენდარული დღიდან 44 კალენდარული დღე), შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგა აუცილებელი ვითარება, დარჩენილი გასაწევი სამუშაოებისთვის განსაზღვრულიყო კონკრეტული ვადები გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. ვინაიდან, მიმწოდებელი ითხოვდა გაწეული მომსახურების ანაზღაურებას, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ეჭვქვეშ იდგა საკითხი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების და მნიშვნელოვანი იყო შემსყიდველს ჰქონოდა ბერკეტი დარჩენილ ვადაზე გადანაწილებულიყო შესასრულებელი სამუშაო და აღნიშნულის მიხედვით მოეხდინა შესრულებული სამუშაოების ყოველდღიური კონტროლი. აღნიშნული საკითხი ზეპირსიტყვიერად შეთანხმებული იქნა მიმწოდებელთან, თუმცა მის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი დოკუმენტი მოიცავდა კვლავ გაწელილ ვადებს, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, არსებული ვითარების გათვალისწინებით მიუღებელი იყო. აღნიშნულის შესახებ მიმწოდებელს ეცნობა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელს არ გამოუხატავს პრეტენზია და მის მიერ წარმოდგენილ იქნა განახლებული გეგმა-გრაფიკი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეტყობინებაში მოცემული გარემოებების გათვალისწინებით.

2.3. ამასთან, მიმწოდებელი არ ახორციელებდა გაწეული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი დაბინძურებული ტერიტორიის დასუფთავებას და ელემენტარული სამუშაო პირობების შექმნას, რათა თანამშრომლებს არ ესუნთქათ სამშენებლო მტვერით დაბინძურებული ჰაერი. ასევე, შემსყიდველი ორგანიზაციის მე-3 სართულზე, საკონფერენციო სივრცესთან ერთად სრულად დანგრეული იყო სველი წერტილები, ვინაიდან აღნიშნულ სართულზე ასევე განთავსებული იყო საოფისე სივრცეები და შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლებს არ ჰქონდათ სამუშაო პროცესისთვის შესაბამისი გარემო, მიმწოდებელს კვლავ მიეცა ზეპირსიტყვიერი გაფრთხილება სველი წერტილების სამუშაოების დროულად დასრულებასთან დაკავშირებით, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს არ აწარმოებდა უწყვეტ რეჟიმში. კერძოდ, შესაძლოა გასულიყო რამდენიმე დღე და არ განხორციელებულიყო არცერთი ტიპის სამუშაო. რიგ შემთხვევაში სამუშაოებს ასრულებდა მიმწოდებლის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ნათელი ხდებოდა, რომ მიმწოდებლისთვის შეუძლებელი იქნებოდა არა მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების დასრულება, არამედ მისი ხარისხიანად შესრულება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა სამუშაოების განხორციელების ეტაპების შემსყიდველთან შეთანხმებას, მიმწოდებელთან ზეპირსიტყვიერად შეთანხმდა, რომ მას უნდა უზრუნველყო უპირველესად საკონფერენციო სივრცის დასრულება, რადგან აღნიშნულ სივრცეში 2024 წლის შემოდგომაზე შემსყიდველი ორგანიზაცია ახორციელებდა „თანადაფინანსების გრანტების“ პროგრამის ფარგლებში, სტარტაპების თანადაფინანსების პროგრამის მე-13 რაუნდს. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო 5 სამუშაო დღის ხანგრძლივობის ტრენინგი პროგრამის ფინალში გადასული აპლიკანტებისთვის. ტრენინგი დაგეგმილი იყო 2024 წლის ოქტომბრის თვეში და შემსყიდველ ორგანიზაციას მოლოდინი ჰქონდა, რომ აღნიშნული პერიოდისთვის დასრულებული იქნებოდა მე-3 სართული. შეთანხმების მიუხედავად, მომწოდებლის მიერ არ განხორციელდა საკონფერენციო სივრცის, შეხვედრების სატრენინგო ოთახის და მესამე სართულის სველი წერტილების სამუშაო პროცესისთვის გამოყენებად მდგომარეობამდე მიყვანა, რის გამოც შემსყიდველ ორგანიზაციას მოუწია, ტრენინგების სესიების ჩატარება ისეთ სივრცეში, რომელიც არ პასუხობდა პროგრამის სტანდარტებს.

2.4. მიმწოდებლის მიერ გეგმა-გრაფიკის წარმოდგენიდან ერთ თვეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ, 2024 წლის 26 ნოემბერს განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შესრულებული სამუშაოები იყო თითქმის 2024 წლის 24 ოქტომბრის კონდიციაში, ხოლო მომწოდებლის მიერ აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული მინიმალური სამუშაო იყო ისეთ მდგომარეობაში, რომ შემდგომ საჭირო გახდა მისი დემონტაჟი და ხელახალი სამუშაოების წარმოება, უკვე ახალი ხელშეკრულების პირობებში (გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით განხორციელებული). კერძოდ, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული „აგურის დასაჯდომი“ მოწყობილი იყო გიფსოკარდონზე, რომელიც არ იყო მყარი, დაჯდომის შედეგად იღებდა დეფორმაციას და სამომავლოდ წარმოადგენდა ადამიანის დაზიანების საფრთხეს. ამასთან, მე-3 სართულზე კვლავ მონგრეული იყო სველი წერტილები, საკონფერენციო სივრცე იმყოფებოდა იმავე მდგომარეობაში და გარემო კვლავ დაბინძურებული იყო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებით. თანამშრომლებს კვლავ უწევდათ მოცემულ გარემოში სამუშაოს შესრულება და მიმწოდებლის მიერ აქტიურ ფაზაში არ მიმდინარეობდა სამუშაოების დასრულების პროცესი. ამასთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა სართულების სარემონტო სამუშაოების არცერთი ეტაპი დაწყებულიც კი არ იყო.

2.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვიდმეტი სველი წერტილიდან, თოთხმეტ სველ წერტილზე არ განხორციელებულა არცერთი სარემონტო სამუშაო, ხოლო სამი სველი წერტილი ხელშეკრულების შეწყვეტის ეტაპზეც კი მონგრეულ მდგომარეობაში იყო. მომწოდებლის მიერ საკონფერენციო სივრცეების იატაკის მოწყობისა და სამღებრო სამუშაოების გარდა არ განხორციელებულა არცერთი ტიპის მნიშვნელოვანი სამუშაო. შესასრულებელი სამუშაოების ვადის ამოწურვამდე დარჩენილი იყო 23 კალანედარული დღე, რომელიც ასევე მოიცავდა ექსპერტიზის წარმოდგენის ვადასაც, რაც წარმოადგენდა სამუშაოების სრულად დასრულების არარეალურ და არაგონივრულ პერიოდს. მომწოდებელი 2024 წლის 23 ოქტომბრამდე სამუშაოებს ახორციელებდა ნელი ტემპით, ხსენებული პერიოდის უკანასკნელი ორი კვირა,

მომწოდებლის მიერ სრულად შეჩერებული იყო სამუშაოების წარმოების პროცესი. კომუნიკაციის შედეგად მომწოდებლის პასუხი ძირითადად იყო აპელირება ხელშეკრულებაში გეგმა-გრაფიკის არარსებობის შესახებ. შემსყიდველი ორგანიზაციისთვის თვალსაჩინო იყო მხოლოდ დანგრეული სივრცეები, სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურებული გარემო და სამუშაოების წარმოების პრაქტიკულად არარსებობა. მიმწოდებელმა, შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა გაწეული სამუშაოების ანაზღაურების თაობაზე სამუშაოების დაწყების ეტაპზე. მიმართვის პერიოდისთვის, მიმწოდებელს სრულად შეჩერებული ჰქონდა სამუშაოების პროცესი და აპელირებდა იმაზე, რომ შესრულებული სამუშაოების არ ანაზღაურების შემთხვევაში იგი ვერ გააგრძელებდა სამუშაოებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შემდგომ, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელდა გაწეული სამუშაოების ანაზღაურება, ხოლო მიმწოდებლის მიერ არ განხორციელებულა გეგმა-გრაფიკით გაწერილი სამუშაოების შესრულება. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, მომწოდებლისთვის კალენდარულ გეგმა-გრაფიკში მითითებული ვადები გამომდინარეობდა შემსყიდველ ორგანიზაციაში არსებული კრიტიკული ვითარებიდან, ვინაიდან მომწოდებლის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკი ითვალისწინებდა სამუშაოების პროცესის განახლებას ერთი-ორი კვირით გვიან, რაც შემსყიდველი ორგანიზაციისთვის წარმოუდგენელი იყო არსებული ვითარების გათვალისწინებით.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტების თანახმად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უსაფუძვლოდ შეწყვიტა ხელშეკრულება. მიმწოდებელი განმარტავს, რომ იგი სამუშაოებს აწარმოებდა გეგმა-გრაფიკის გარეშე, რადგან სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი არც სატენდერო პირობით და არც ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ ყოფილა. ხოლო მას შემდეგ, რაც მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მოსთხოვა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს განუმარტა, რომ მას თანხა არ აუნაზღაურდებოდა თუ იგი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკზე ხელს არ მოაწერდა. გეგმა-გრაფიკში ასევე შემსყიდველი ორგანიზაციის დავალებით მიეთითა კონკრეტული სამუშაოების შესრულების ზუსტი ვადები. ასევე, მიმწოდებლის განმარტებით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაშინ შეწყვიტა ხელშეკრულება, როდესაც შესასრულებლად დარჩენილი იყო სამუშაოების მცირე მოცულობა. მიმწოდებელმა ასევე მოითხოვა რაიმე საკითხის გაურკვევლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ჩატარებულიყო მხარეთა ზეპირი მოსმენა.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2024 წლის 10 სექტემბერს, NAT240013568 ელექტრონული ტენდერის საშუალებით სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა“ და ი.მ. ზაზა ჯიჯელავას (პირადი № 29001006188) შორის დაიდო № 220 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა შეესრულებინა სამუშაო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 100 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 537 653,17 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2025 წლის 31 იანვარი.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 2 ოქტომბრის წერილით მიმწოდებელს ეცნობა, რომ ვინაიდან იგი ნელი ტემპით ასრულებდა სამუშაოებს, ვერ მოხდებოდა სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელება. ამდენად, ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შეესრულებინა სამუშაო და ასევე, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიეწოდებინა სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი.

4.3. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 24 ოქტომბრის წერილით, მიმწოდებელს წარუდგინა მის მიერ წარდგენილი სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკის შენიშვნები. კერძოდ, სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკის მე-7 პოზიციით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა მითითებული იყო 2024 წლის 29 ოქტომბრამდე, თუმცა აღნიშნული სამუშაოები უკვე დასრულებული იყო. ამასთან, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის მე-8 პოზიციით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყების ვადა განსაზღვრული იყო 2024 წლის 22 ოქტომბრიდან, რაც არ შეესაბამებოდა რეალურ მდგომარეობას და აღნიშნულ ნაწილში იყო ფაქტობრივი ვადაგადაცილება. ამასთან, ამავე პოზიციით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადად მითითებული იყო ოთხი კვირა, რომელიც შესამცირებელი იყო სამ კვირამდე. ვინაიდან, შემსყიდველ ორგანიზაციაში ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი, ხოლო მიმწოდებლის მიერ განხორციელებული სამუშაოები არ იყო აქტიურ ფაზაში (რეალურად შესაძლებელი იყო დასრულებულიყო აღნიშული პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო). ასევე, გეგმა-გრაფიკის მე-9 პოზიციით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა (მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული ვადა იყო 5 კვირა) შესამცირებელი იყო სამ კვირამდე. გარდა ამისა, შეხვედრების ოთახში შესასრულებელი სამუშაოები გონივრული ვადის გათვალისწინებით, დასრულებული უნდა ყოფილიყო. აღნიშნულის შედეგად, შემსყიდველ ორგანიზაციაში ერთ თვეზე მეტი ვადით ვერ ხერხდებოდა აღნიშნული სივრცით სარგებლობა, რაც აფერხებდა სამუშაო პროცესს. გეგმა-გრაფიკის მე-10 პოზიციით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყების თარიღი (მითითებული იყო 5 ნოემბერი) გადასაწევი იყო მინიმუმ 1 კვირის ვადით. ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოები პრაქტიკულად არ მიმდინარეობდა, შემსყიდველ ორგანიზაციას ხელი ეშლებოდა მასზე დაკისრებული ფუნქციების გამართულად შესრულებაში. დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ არ განხორციელებულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული არცერთი სამუშაოს ნაწილი, რაც მის მიერ ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებას ეჭვქვეშ აყენებდა. მიუხედავად არაერთგზის კომუნიკაციისა, სამუშაოს ტემპი არ შეცვლილა. მიმწოდებელს ეცნობა, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებდა უფლებას არ მიეღო მის მიერ წარდგენილი შესრულებული სამუშაოები, მათ აქტიურ ფაზაში შესვლამდე. მიმწოდებელს ასევე ეთხოვა, რომ ერთი სამუშაო დღის ვადაში წარედგინა განახლებული გეგმა-გრაფიკი ზემოთ მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით, სადაც ასევე „კვირის“ ნაცვლად მითითებული იქნებოდა თარიღები.

4.4. მიმწოდებელმა 2024 წლის 28 ოქტომბრის № 3 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი. ამავე წერილით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი.

4.5. მხარეთა შორის გაფორმებული 2024 წლის 28 ოქტომბრის შეთანხმებით განისაზღვრა, რომ სამუშაო უნდა განხორციელებულიყო შეთანხმებას დართული კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად (მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხსენებული გეგმა-გრაფიკი გახდა ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი).

4.6. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 13 ნოემბრის წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელს არ ჰქონდა დასრულებული 2024 წლის 12 ნოემბრისთვის შესასრულებელი სამუშაო, კერძოდ, მესამე სართულზე სველ წერტილებში კედლების მოპირკეთებისა და ინვენტარის მონტაჟის სამუშაო. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეცნობა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.7. საქმეში არსებული სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის 2024 წლის 26 ნოემბრის № 1423/02 მოხსენებითი ბარათის თანახმად, 2024 წლის 26 ნოემბრის ინსპექტირების/შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიმწოდებლის მიერ შესრულებული იყო მთლიანი სამუშაოების მინიმალური მოცულობა. ამასთან, მიმწოდებლის მიერ დარღვეული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის ვადები, რის გამოც არსებობდა გონივრული მოლოდინი, რომ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ დასრულდებოდა სამუშაოები. ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ადგილი იყო შემსყიდველი ორგანიზაციის ადმინისტრაციული შენობა და სარემონტო სამუშაოების შეუსრულებლობით გამოწვეული მდგომარეობა, მნიშვნელოვნად აფერხებდა შემსყიდველი ორგანიზაციის სრულყოფილ ფუნქციონირებას. ამავე მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების შეწყვეტა.

4.8. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 26 ნოემბრის № 02/502 წერილით ეცნობა ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.9. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 105 268,48 ლარის ღირებულების ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების მოცულობის 20%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ ი.მ. ზაზა ჯიჯელავა უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს საქმეში არსებულ რიგ გარემოებებზე, მათ შორის, მიმწოდებლის განმარტებაზე და მიუთითებს, რომ შეთანხმებაზე ხელმოწერით (შესაბამისად, იმით, რომ ამავე შეთანხმებას დართული გეგმა-გრაფიკი გამხდარიყო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი), მან იტვირთა გეგმა-გრაფიკის გათვალისწინებით სამუშაოების წარმოების ვალდებულება. საგულისხმოა, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხელშეკრულების შეწყვეტა დაუკავშირა სწორედ გეგმა-გრაფიკის დარღვევას, რომლის გამოც იქმნება გონივრული ეჭვი, რომ სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ დასრულდებოდა. რაც შეეხება ანაზღაურების საკითხს, სააგენტო მიუთითებს, რომ აღნიშნული განეკუთვნება მხარეთა სახელშეკრულებო დავის საგანს და უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკებით ან სასამართლოსთვის მიმართვის გზით. ამდენად, მოცემული მსჯელობისა და ფაქტების ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს. მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. რაც შეეხება ზეპირი მოსმენის გამართვას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სააგენტო უფლებამოსილია,

მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს. შესაბამისად, ზეპირი მოსმენის ჩატარება განეკუთვნება სააგენტოს უფლებამოსილებას და გამოიყენება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. განსახილველ შემთხვევაში სააგენტომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ზეპირი მოსმენის ჩატარება

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (შესრულებულია ხელშეკრულების მოცულობის 20%). შესაბამისად, მოცემული დარღვევის ფაქტის გათვალისწინებით, ი.მ. ზაზა ჯიჯელავა უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. ი.მ. ზაზა ჯიჯელავა (პირადი №29001006188) 2025 წლის 12 თებერვალს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად ლევან რაზმაძე